

სალომე ტაბატაძე

გეოდინამიკური პროცესების როლი რელიეფის გარდაქმნაში (დასავლეთ საქართველოს მაგალითზე გურია)

ელ-ფოსტა:

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

გურიის რეგიონის ტერიტორია სტიქიური გეოდინამიკური პროცესების განვითარებისა და მათ მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების მიხედვით, საქართველოში ერთ-ერთი რთული რეგიონია. აქ განვითარებულია თითქმის ყველა სტიქიური გეოდინამიკური პროცესი: მეწყრული, ეროზიული, ღვარცოფული, გრავიტაციული და სხვა. ბოლო ათწლეულებში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ თანამედროვე სტიქიური გეოდინამიკური პროცესების აქტიურობა მჭიდროდ უკავშირდება ტექნოგენურად ყველაზე მეტად დატვირთულ ტერიტორიებს.

გურიის მოსახლეობა მძიმე გეოეკოლოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგანაც სტიქიური გეოდინამიკური პროცესები დიდ ზიანს აყენებენ ადგილობრივ მცხოვრებთა საკარმიდამო ნაკვეთებს, საცხოვრებელ სახლებს და სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე ნაგებობებს, აზიანებენ და ხშირად მწყობრიდან გამოჰყავთ საავტომობილო და გზები, ხიდები, ელექტრო-გადამცემი ხაზები, სკოლები, ჩაის ფაბრიკები, სამთო გამონამუშევრები, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

რეგიონში სტიქიური გეოდინამიკური პროცესების გამოვლინების, ინტენსიურობის და მათგან მიყენებული ზარალის სიდიდისა და სახეობების მიხედვით მკვეთრად გამოიყოფა სამი გეომორფოლოგიური ზონა: კოლხეთის შავიზღვისპირა დაბლობი და ძირითად მდინარეთა (სუფსა, გუბაზეული, ბახვის წყალი, ნატანები, ბჟუჟი) ხეობების ქალები; გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი; დაბალი და საშუალო მთიანეთი. აქედან, პირველი ზონის გეოდინამიკური ფონის შექმნაში ძირითადი ადგილი უკავია მდინარეთა ნაპირების წარეცხვებს, დატბორვებს და დაჭაობებას. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი ხასიათდება მეწყრული და ეროზიული პროცესების ინტენსიური განვითარებით და მათი დამანგრეველი მოქმედებით, ხოლო დაბალ და საშუალო მთიანეთში გეოდინამიკურ ფონს უფრო მეტად ეროზიული, ღვარცოფული და გრავიტაციული პროცესები ქმნიან, აქ მეწყრული პროცესები უფრო ნაკლებია.